წერილის ნომერი: **18-01192881301**
თარიღი: **15/10/2019**
პინი: **8757**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 2 ოქტომბრის #60-01192752409 წერილი (AR1699630), რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, შუშის ქ. #38 (ს.კ.: 01.11.04.017.129) (სამრეწველო ზონა 1) სოფია ხაბეიშვილის კუთვნილ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, III კლასის საწყობის არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, მიწის ნაკვეთის გამწვანების პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ არაა გამოსწორებული სამსახურის 2019 წლის 27 აგვისტოს #18-01192391077 წერილით დადგენილი ხარვეზები.

ამასთანავე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-40 მუხლის მე-3^1 პუნქტის, ასევე, 47-ე მუხლის პირველი პუნქტების „$ნ^1$“ ქვეპუნქტის საფუძველზე, განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს გამწვანების საინფორმაციო ბანერის ესკიზი, სადაც უნდა მიეთითოს გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტებისა და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გამწვანების საინფორმაციო ბანერი უნდა მოიცავდეს:

- კ-3 ფართობს;
- გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობას (მათ შორის, დახასიათებას-ხნოვანებას, გარშემოწერილობას, სიმაღლეს);
- გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღის გრაფას (გრაფა ივსება მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ);
- პროექტის დასრულების თარიღს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირს;
- გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობას (არანაკლებ 3 წელი);
- საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი დატანილი უნდა იყოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით.

ამდენად, ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსწორებამდე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი